ვებ-გვერდზე www.rebank.ge განთავსებულ „ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების გენერალურ ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე, შეიცვალოს ვებ-გვერდზე - www.rebank.ge - განთავსებული „ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების გენერალური ხელშეკრულება“, კერძოდ, შეიცვალოს **1.1.1 და 5.6.8** პუნქტების ფორმულირება, მათი შინაარსი კი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„**1.1.1** ბანკი - სს „პაშა ბანკი საქართველო“ ს/კ 404433671, სათავო ოფისის მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N37მ, ელექტრონული ფოსტის მისამართი - info@rebank.ge, ვებ-გვერდის მისამართი www.rebank.ge, ლიცენზიის # - ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2013 წლის 17 იანვრის განკარგულება # 27;“

„ 5.6.8 ტოპ|ქარდის მულტისავალუტო ანგარიშზე განთავსებული ნებისმიერი მოცულობის თანხას ერიცხება საპროცენტო სარგებელი, იმ მომენტში ბანკის მიერ განსაზღვრული ოდენობით. საპროცენტო სარგებელი დაანგარიშდება ყოველი დღის ბოლოს, ანგარიშზე არსებული ნაშთის მიხედვით და ყოველი თვის ბოლოს, თვის განამავლობაში დარიცხული სარგებელი ჩაირიცხება ტოპ|ქარდის მულტისავალუტო ანგარიშზე. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს შეცვალოს (გაზარდოს/შეამციროს) ან გააუქმოს საპროცენტო სარგებლის ოდენობა, რის შესახებაც კლიენტს დამატებით ეცნობება. მიმდინარე საპროცენტო განაკვეთის შესახებ ინფორმაციის მიღება კლიენტს შეუძლია ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.rebank.ge.“

წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული ცვლილებები ძალაშია 2019 წლის 27 ნოემბრიდან.